სიჭაბუკე და ლექსი ერთია

მხოლოდ შენ გეტყვის შენი ქვეყანა,
ბევრი იცხოვრე დღეის-ხვალობით:
სტვირს გიკრავდი და არა როკავდი,
გიგალობდი და არა გალობდი!
შენი დრო იყო სიჭაბუკისა,
ვერ აიყარა შენი ყვავილი;
სიჭაბუკე და ლექსი ერთია,
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი.

ვინ დაგაყარა გულზე ქვიშანი,
არ ამოვიდეს ლექსის ბალახი?
ახალგაზრდობა - შენი ნიშანი,
თავზე გადგია, ვით ჩაბალახი.

ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით -
ადიდებულუ, დამწიფებული,
ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.

დღეევანდელი დღის პასუხ-მგებელო,
ჩაასვი სიტყვა დ ტყვია ტყვიაში!
მიწას არ ახსოვს, იყოს პოეტი
გამომწყვდეული კუბოს წყვდიადში.

და რაც კი სუნთქავს დიდ ქვეყანაზე,
რაც სიცოცხლეთი არი ცხოველი:
მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი დ
შ ნი სიტყვების ღიმილს მოელის.

შენ გელოდება დასასტამბავად
ათი ათასი ჩანჩქრის ბღავილი;
სიჭაბუკე და ლექსი ერთია -
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი!